ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სხდომის

ოქმი #1

17 ნოემბერი 13.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთავრობის თანამდებობებზე კანდიდატურების ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენის თაობაზე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლ.არველაძე, ი.ჯიშკარიანი, ნ.ლაცაბიძე, მ.ამაშუკელი, ა.ხუჯაძე, ქ.მამულაშვილი, ლ.დარახველიძე, ფ.ინჯია, მ.დათუკიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობებზე წარდგენილი კანდიდატები

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 10 კომისიის წევრები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გ.ტყემალაძე და კომისიის თავმჯდომარე ო.გრიგოლია

სხდომის დღის წესრიგი:

1 ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთავრობის თანამდებობებზე კანდიდატურების ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენის თაობაზე

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

საკრებულოს წევრებმა დედაქალაქის მერიის მთავრობის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ იმსჯელეს.

სხდომაზე ვიცე-მერობის კანდიდატმა, ირაკლი ხმალაძემ საკრებულოს წევრებს მერის მოადგილეების, საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებისა და გამგებლების ახალი შემადგენლობა წარმოუდგინა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეების თანამდებობებზე გიგა ნიკოლეიშვილის, მაია ბითაძის და ირაკლი ბენდელიანის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე ვლადიმერი ჭიღლაძის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გივი კუბლაშვილის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ირაკლი გვილავას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე სერგო ბირკაძის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გაიოზ თალაკვაძის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურისუფროსის თანამდებობაზე მამუკა მუმლაძის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ნიკოლოზ ჭონქაძის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიგა გიგაშვილის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე სოფიო ხუნწარიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიორგი პაპავას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გელა ჩივიაშვილის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიორგი ბაგრატიონის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგებლის თანამდებობაზე გაიოზ ვასაძის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე დავით კირკიტაძის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ლევან ჯაფარიძის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ნოდარ ტურძელაძის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ირმა ზავრადაშვილის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ზურაბ ჩიკვილაძის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ბექა მიქაუტაძის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ირაკლი ხელაძის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის

გამგებლის თანამდებობაზე კახაბერ ლაბუჩიძისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე დავით კერესელიძის კანდიდატურებუ იქნა წარდგენილი. აგრეთვე, განხილულ იქნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარმოდგენილი ბადრი გიორგიძის კანდიდატურა.

კანდიდადტების წარდგენის შემდეგ სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. კითხვები კანდიდატების სამუშაო სფეროში დაგეგმილ საქმიანობასა და კონკრეტულ მიმართულებებს ეხებოდა.

ყველა წარდგენილმა კანდიდატმა დასმულ შეკითხვას ამომწურავად უპასუხა.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ო.გრიგოლიამ, ნ.ლაცაბიძემ, მ.დათუკიშვილმა, ფ.ინჯიამ

სხდომის დასასრულს კომისიის თავმჯდომარეებმა ცალ-ცალკე უყარეს კენჭი კანდიდატების დანიშვნის შესახებ თანხმობის მიცემის საკითხს

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხები:

მომხრე --- 9

წინააღმდეგი --- 1 (მ.დათუკიშვილი)

თავი შეიკავა --- 0

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრების მიერ დადებითად იქნა შეფასებული წამოყენებული კანდიდატები და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში თანამდებობებზე დანიშვნის საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად. (სამართლებრივი დასკვნა თან ერთვის).

ო.გრიგოლიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია